საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ბიზნესს სექტორის დაცვის საკითხებში გიორგი

Thursday, 26 August 2010 13:03

პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ბიზნესს სექტორის დაცვის საკითხებში ბ-ნი გიორგი პერტაია სხვადასხვა საკითხების განხილვისა და ღრმად შესწავლის მიზნით სპეციალური ვიზიტით ჩამოვიდა ბათუმში და შეხვედრა გამართა საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის წევრებთან და ექსპორტიორებთან. მიმდინარე წლის 9 აგვსიტოს ასოციაციის ოფისში გამართული შეხვედრის დროს დასმულ საკითხთა ირგვლივ მიმდინარე მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ინვესტორებსა და ექსპორტიორებს, რომელთაც საშუალება ქონდათ დაესვათ საკითხები, როგორც საერთო ხასიათის ასევე კერძოდ მათი წარმოებისათვის აქტუალური პრობლემები. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ექსპორტიორთა საკითხების განხილვისა და მოგვარების მიზნით, რათა მათ მაქსიმალურად შეეწყოთ ხელი და გაზარდონ ექსპორტის მოცულობა. ამ თვალსაზრისით გიორგი პერტაიამ ცალ-ცალკე გაესაუბრა დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტიორ ფირმებთა წარმომადგენლებს და დახმარება აღუთქვა საკითხების დეტალურად შესწავლასა და გადაწყვეტაში. შემოდგომის მოახლოებასთან ერთად ციტრუსების გატანის სეზონისათვის მზადება და მთავრობის მხრიდან აქტიური ქმედებები ექსპორტიორებმა დადებითად აღიქვეს და მათ მიერ წერილობით დასმულ საკითხთა გადაწყვეტის იმედი მიეცა.

1 / 1